ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ს და ს № 52-22

ქ. თბილისი **17.06.2022 წელი**

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი,** წარმოდგენილი მისი **თავმჯდომარის მოადგილის, სალომე წურწუმიას** სახით (შემდგომში - შემსყიდველი),

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12
საიდენტიფიკაციო კოდი: 211 343 982
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: GE 24 NB 0330 1002 0016 5022
ელ. ფოსტა: info@georoad.ge

და მეორე მხრივ, **სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი** მისი **გენერალური დირექტორის ნიკოლოზ აზნაურაშვილის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი),

მის.: საქართველო, თბილისი, თაბუკაშვილის N7
საიდენტიფიკაციო კოდი: 204562311
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 707617111
ელ.ფოსტა: info@heritagesites.ge

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც„მხარეები“,

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის **2021 წლის 29 დეკემბრის №2419 განკარგულების,** „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2021 წლის 22 დეკემბრის №4217 განკარგულების (SMP210003645**), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-9 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის –საპროექტო სამსახურის 2022 წლის 4 თებერვლის №1167-2 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და მისი შესაბამისი CPV კოდი

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს **გზების მშენებლობასთან დაკავშირებით, საპროექტო ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევის ანგარიშ(ებ)ის მომზადება** (შემდგომში - მომსახურება).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: **CPV 71351914 - არქეოლოგიური მომსახურებები.**

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **არაუმეტეს 30 000.00 (ოცდაათი ათასი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით. კონკრეტული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2018 წლის 12 სექტემბრის N02/51 ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

1. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს საჭიროებისამებრ, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან **2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

2. მომსახურების გაწევა იწარმოებს შემსყიდველის წერილობითი დავალების საფუძველზე, მიმოწდებელთან შეთანხმებით, კონკრეტული ადგილის და დავალების შესრულების ვადის მითითებით.

3. მომსახურების გაწევა იწარმოებს ამ მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრულ წერილობით დავალებაში მითითებულ ადგილზე.

მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების მე-2 მუხლში განსაზღვრული ხელშეკრულების ღირებულება მოცემულია მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა სახის ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

2. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

3. ანგარიშსწორების მიზნით, კონკრეტული დავალების დასრულების შემდეგ, მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს შესაბამისი არქეოლოგიური კვლევის ანგარიშს და მომსახურების ინვოისს.

4. ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ გაწეული მომსახურების ღირებულება, რომელზეც იქნება შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის - საავტომობილო გზების საპროექტო სამსახურის ან მისი უფლებამონაცვლე სამსახურის მიერ დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტი.

5. ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას შემსყიდველი ახორციელებს, მიმწოდებლის მიერ მისთვის წარდგენილი ინვოისისა და მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შემსყიდველის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მიმწოდებელს აუნაზღაურდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება. ამასთან, ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების ღირებულების სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.

მუხლი 5. მომსახურების შესაბამისობა

1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგრეთვე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოთხოვნებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

1. შემსყიდველი მომსახურების მიღებას აწარმოებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

2. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღების აქტი) და დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის დადასტურების შემდეგ.

3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება-ჩაბარებას და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმებას ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფი - **საპროექტო სამსახური ან მისი უფლებამონაცვლე სამსახური,** ხოლო მიმწოდებლის მხრიდან - სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგიისა და კულტურული მემკვიდრეობის კვლევის სამსახურის უფროსი კონსტანტინე ფიცხელაური

4. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურების შუალედური კონტროლის შედეგები უარყოფითია, შემსყიდველს შეუძლია, უარი განაცხადოს მომსახურების ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე და ანაზღაურებაზე.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-5 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით; მომსახურების გაწევა განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს ჯეროვნად, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული ვადების შესაბამისად;

დ) შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს მას ინფორმაცია გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების შესახებ;

ე) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა;

ვ) მომსახურების თითოეული ეტაპის დასრულებისას წარუდგინოს შემსყიდველის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს - საპროექტო სამსახურს ან მის უფლებამონაცვლე სამსახურს გაწეული მომსახურების შესრულების ანგარიში ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად;

ზ) შემსყიდველს დაუყოვნებლივ აცნობოს მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, აგრეთვე, სხვა გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შესაძლებელია, ხელი შეუშალოს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას;

თ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად;

3. შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ ყოველ კონკრეტულ ეტაპზე მომსახურების გაწევის მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მასში სათანადო ცვლილებები.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებითგათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოსფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 1% ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება, გარდა ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვული შემთხვევისა.

2. ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების დასრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.01%-ის ოდენობით. მიმწოდებელი ვალდებულია, ამ პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა უზრუნველყოს შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის გამო მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის საფუძველზე მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირაგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს შესრულებული მომსახურების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

6. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

მუხლი 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვული სხვა პირობების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით.

4. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ცალმხრივად, წერილობითი ფორმით შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობისსაქმის წარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებითგათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ე) მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს;

ვ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. უფლებების გადაცემა

1. ხელშეკრულების პირობები სავალდებულოა როგორც ხელშეკრულების მხარეებისათვის, ასევე, მათი სამართალმემკვიდრეებისათვის და უფლებამონაცვლეებისთვის.

2. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

3. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 12. ქვეკონტრაქტორები და მიმწოდებლის პერსონალი

1. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი მომსახურების ქვეკონტრაქტორისათვის სრულად გადაცემა.

2. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესაბამისი მომსახურების ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ისგან და აღნიშნული მომსახურების შესრულებაზე შემსყიდველთან პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

მუხლი 13. შეტყობინება

1. ხელშეკრულების ფარგლებში მხარეებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება წერილობითი ფორმით. ნებისმიერი შეტყობინება (დოკუმენტაცია) მხარეებმა შეიძლება, მიიღონ საფოსტო გზავნილით, შესაბამისი მხარის ოფიციალურ მისამართზე ან/და ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართზე (საჭიროების შემთხვევაში, ორიგინალის შემდგომი წარდგენით).

2. ამ ხელშეკრულებაში, მხარეთა რეკვიზიტებში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართი, წარმოადგენს მხარეთა ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტას. ელექტრონული გზავნილი/შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი გაგზავნის დღეს, მიუხედავად იმისა, ადრესატი დაადასტურებს თუ არა მის მიღებას. ელექტრონული გზავნილი არ ჩაითვლება მიღებულად, თუ გამგზავნმა მიიღო შესაბამისი საფოსტო სერვერიდან შეტყობინება, რომ ადრესატის მისამართზე გზავნილი არ მივიდა.

3. მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ შეინარჩუნებენ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტას აქტიურ მდგომარეობაში, ხოლო მისი ცვლილების შემთხვევაში მომდევნო სამუშაო დღეს წერილობით შეატყობინებენ მეორე მხარეს ახალი ელექტრონული ფოსტის მისამართს. აღნიშნულის თაობაზე შეუტყობინებლობის შემთხვევაში, ელექტრონული შეტყობინება (დოკუმენტაცია) გაიგზავნება ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე და ითვლება მიღებულად.

მუხლი 14. კონტროლი (ინსპექტირება)

1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს,ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიმდინარეობაზე, მათ შორის, მომსახურების ხარისხის პერიოდულ ინსპექტირებაზე. გაწეული მომსახურების ტექნიკური ინსპექტირება (კონტროლი) ევალებაშემსყიდველის სტრუქტურულ ქვედანაყოფს - საპროექტო სამსახურს **ან მის უფლებამონაცვლე სამსახურს, ხოლო ფინანსური მონიტორინგი – ფინანსების მართვის სამსახურს ან მის უფლებამონაცვლე სამსახურს.**

2. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი დეფექტ(ებ)ის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა.

4. მომსახურების გაწევის მიმდინარეობაზე შემსყიდველი კონტროლს (ინსპექტირებას) აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის, ტექნიკური დავალებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაჩეროს მომსახურების გაწევის მიმდინარეობა და განახორციელოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

5. უხარისხოდ გაწეული მომსახურების დაფიქსირება ხდება შემსყიდველის და მიმწოდებლის მიერ კომისიური წესით შედგენილ აქტში, რის შემდეგაც მიმწოდებელს არ აუნაზღაურდება დეფექტ(ებ)ით გაწეული მომსახურების ღირებულება.

6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდანგაწეული მომსახურება შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი სათანადო აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მას აღნიშნულიმომსახურების ღირებულებას და განიხილავს ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საკითხს.

მუხლი 15. კონფიდენციალურობა და კეთილსინდისიერება

1. მიმწოდებელი (მათ შორის მისი თანამშრომლები და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები) ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია ან/და დოკუმენტაცია/ინფორმაცია რომელიც მიიღო ხელშეკრულების ფარგლებში ან/და დოკუმენტაცია რომელიც მოამზადა ხელშეკრულების ფარგლებში, არ გადასცეს იგი მესამე პირებს და არ გაავრცელოს საჯაროდ შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ინფორმაციის გაცემა გამოწვეული არის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და თუ ეს მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ ქმედებას ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მხარეები განიხილავენ როგორც არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა ან/და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე. მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული ვალდებულება დაიცვას ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც. ამ პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან, რომ მიმწოდებელი შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს. ამასთან, შემსყიდველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 16. სხვა პირობები

1.ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერის თანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის დროს ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე ან რაიმე წინასწარგაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეცვლის აუცილებლობა, ასეთი ცვლილებები და საშვები

ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში. ცვლილებების ან/დადამატებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ემუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

5. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, მხარეთა მიერ ხელმოწერილია ელექტრონულად, რომელსაც აქვს იურიდიული ძალა.

7. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	**სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო**
Salome Tsurtsumia Digitally signed by Salome Tsurtsumia Date: 2022.06.17 17:00:15 +04'00'	National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia Digitally signed by National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia Date: 2022.06.17 15:46:11 +04'00'
სალომე წურწუმია	**ნიკოლოზ აზნაურაშვილი**

დანართი №1

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული დამატებითი მომსახურების საფასური

	მომსახურების სახე	**ღირებულება**
1	**სააგენტოს მასალათა არქივში არსებული დოკუმენტაციის ელექტრონული ასლების გაცემა**	უფასო
2	**ფოტო, ვიდეო გადაღება (სააგენტოსათვის მომართვისა და შესაბამისი თანხმობის საფუძველზე)**	უფასო
3	**ბავშვებისათვის, სააგენტოს საგანმანათლებლო სამსახურის მიერ ,,კულტურული მემკვიდრეობა ბავშვებს" პროგრამით გათვალისწინებული თითო გაკვეთილის ფასი**	1 ბავშვი X 6 (ექვსი) ლარი
4.	**არქეოლოგიური მომსახურება**	
4.1	0-5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთზე წინასწარი არქეოლოგიური (ზედაპირული) დაზვერვა	120 ლარი
4.2	5-10 ჰა-მდე მიწის ნაკვეთზე წინასწარი არქეოლოგიური (ზედაპირული) დაზვერვა	1 ჰა- 60 ლარი
4.3	10 ჰა-დან ზემოთ მიწის ნაკვეთზე წინასწარი არქეოლოგიური (ზედაპირული) დაზვერვა	1 ჰა- 40 ლარი
4.4	არქეოლოგის მეთვალყურეობა (საჭიროების შემთხვევაში)	1 დღე - 50 ლარი
4.5	საკვლევი ტერიტორიის დაშურფვა (საჭიროების შემთხვევაში)	1 შურფი (1X2 მ, სიღრმე 1მ) = 60 ლარი
4.6	სტაციონალური არქეოლოგიური გათხრები	1 დღე X 200 ლარი
4.7	კამერალური სამუშაოები	1 დღე X 120 ლარი
5	**საბავშვო არქეოლოგია**	
5.1	დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში	1 ბავშვი X 5 (ხუთი) ლარი
5.2	პარმენ ზაქარიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალში	1 ბავშვი X 3 (სამი) ლარი
6	**სხვა ღონისძიებებით მომსახურება**	
6.1.	უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული დარბაზით მომსახურება (კონფერეციებისა და სსხვა ღონიძიებებისათვის)	1 დღე - 200 ლარი
6.2	თბილისის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელწიფო მუზეუმის დარბაზით მომსახურება	1 დღე-50 ლარი
6.3	მუზეუმებსა და მუზეუმ ნაკრძალების ტერიტორიებზე მოსაწყობი ღონისძიებებით მომსახურება	საფასური დგინდება ინდივიდუალურად, მხარეთა

		მიერ წერილობით მიღწეული შეთანხმების ან ხელშეკრულების საფუძველზე.
	შენიშვნა: სააგენტოს მასალათა არქივში არსებული დოკუმენტაციის მყარი ვერსიის სახით დოკუმენტაციის გაცემა განხორციელდეს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.	